საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/29 „18" მარტი 2014 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის დანამატის განსაზღვრის შესახებ

1. „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის თანამდებობრივ სარგოზე დანამატის განსაზღვრისა და საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 8 მაისის №1/87 გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებს 2014 წლის მარტის თვეში, მოქმედ ყოველთვიურ დანამატთან ერთად, თანამდებობრივ სარგოზე დანამატი განესაზღვროთ თანამდებობრივი სარგოს 100%-ის ოდენობით.

2. საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულმა სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა უზრუნველყოს ამ გადაწყვეტილებით დადგენილი დანამატის გაცემა.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი